განკარგულება:**g-63. 63261427**
თარიღი:**22/05/2026**

,,სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ'', საქართველოს მთავრობის 2026 წლის 2 მარტის №96 დადგენილების შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტში სტიქიის თავიდან ასაცილებლად ან სტიქიის შედეგად მოსალოდნელი ზიანის შესამცირებლად წინასწარი ზომების მიღების მიზნით განსახორციელებელი 3 პროექტის მოწონების შესახებ

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ,,სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2026 წლის 2 მარტის №96 დადგენილებით დამტკიცებული ,,სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის'' მე-2 და მე-3 მუხლების შესაბამისად, განიხილა სამტრედიის მუნიციპალიტეტში სტიქიის თავიდან ასაცილებლად ან სტიქიის შედეგად მოსალოდნელი ზიანის შესამცირებლად წინასწარი ზომების მიღების მიზნით განსახორციელებელი 3 პროექტის მოწონების საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მოწონებულ იქნას ,,სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2026 წლის 2 მარტის №96 დადგენილების შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტში სტიქიის თავიდან ასაცილებლად ან სტიქიის შედეგად მოსალოდნელი ზიანის შესამცირებლად წინასწარი ზომების მიღების მიზნით განსახორციელებელი 3 პროექტი (დანართი №1 თან ერთვის).

დანართი №1

ინფორმაცია

,,სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2026 წლის 2 მარტის №96 დადგენილების შესაბამისად სამტრედიის მუნიციპალიტეტში სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი 3 პროექტის შესახებ

№	პროექტის დასახელება	პროექტის სრული ღირებულება (საპროექტო დოკუმენტაციის ღირებულების გარეშე)	მ/შ, მიმდინარე წელს ფონდიდან მოთხოვნილი თანხა ლარში	მ/შ, თანადაფინანსება	პროექტის განხორციელების სავარაუდო ვადები	შენიშვნა

1	ქალაქ სამტრედიაში, მდინარე ცხენისწყლიდან კონსტიტუციის ქუჩამდე ხელოვნური სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია	200,000.0	190,000	10,000	2026 წლის ივლისი-დეკემბერი	
2	სოფელ ჭაგანში მდინარე ჭურთავაზე სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე ნაპირსამაგრი სამუშაოები (გაგრძელება)	250,000.0	237,500	12,500	2026 წლის ივლისი-დეკემბერი	
3	სოფელ ბაშში, ე.წ. შუა ბაშში (ინეზა კიკვიძის ჩიხი) სანიაღვრე არხის გამაგრება ქვის ჯებირით	20,000.0	19,000	1,000	2026 წლის ივლისი-დეკემბერი	

2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი